ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №46181

ნომერი: AR119072

თარიღი : 06.02.2012

გაცემის თარიღი : 09.02.2012

გაცნობის თარიღი : 09.02.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 7 , მეიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ორგანიზაცია:

- გოდაკო+ კოდი: 202269035

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

მოქალაქე გიორგი კვიწინაშვილის 06/02/12 წლის AR119072 განცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06/02/2012 წელს AR119072 განცხადებით მომართა გიორგი კვიწინაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 29.12.11 წლის #ნ/4129-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში და 01/3958 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ დამკვეთად გ. ნამოევის ნაცვლად შპს ,,რესტორანი იმპერია,,–ს მითითება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 29.12.11 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა #7–ის მიმდებარედ, მოქალაქე გრიშა ნამოევის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მშენებარე საზოგადოებრივი კვების ობიექტის ასაშენებლად #01/3958 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულია მიწის ნაკვეთის მესაკუთრე – გ. ნამოევი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 02 თებერვლის ამონაწერის თანახმად, #01/13/02/008/061 საკადასტრო ერთეული წარმოადგენს შპს ,რესტორანი იმპერია,,–ს საკუთრებას. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის საფუძველზე ასევე დგინდება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება გააჩნია მის ხელმძღვანელს – გ. ნამოევს. შესაბამისად, გ. ნამოევი არის დამკვეთიც და საპროექტო მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დაინტერესებული პირი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ხოლო ამავე კოდექსის 83–ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია დაავალოს დამკვეთს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტაციისა და დაინტერესებული მხარის თანხმობის წარმოდგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში წარმოდგენილი იქნას წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი და დაინტერესებული მხარის თანხმობა;
2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.